„მუშათა გაერთიანებულ—მუშათა საქმეა“

ხაქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთ მაშურალთა კავშირის ორგანო

ახალი ნაკადი

ფასი 1 მან. 50 კ.

№ 36 კვირა 27 ივლისი 1919 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ეაზეთ

„ახალი ნაკადი“-ზე

ეაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ერთთხელ კვირაობით

ეაზეთის ფასი:

ერთი თვით 8 მან., ცალკე ნომერი 1 მ. 50 კ.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება ეაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დენ.

დედა-ქალაქი იგლისი 27 1919 წ.

ახალი ძალები პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ბურჟუაზია პროლეტარიატისთვის ‘ცნობილი მტერია, სამოცდა თერთმეტ წელს უთხრა თავისი დაუნდობელი სიტყვა პროლეტარიატს ბურჟუაზიამ. თუ მე ვბატონობ, მიყვარს ქვეყანა, მაგრამ თუ შენ შემეცილები ქვ.ს-ქვაზედ დავადულებო, ამის დასამტკიცებლათ მან ორმოცდა ათიათასი პროლეტარიატის თავი გასჭყლიტა პარიზის ქუჩებზე.

ამის შემდეგ დარწმუნდა პროლეტარიატი თუ რა დაუნდობელ მტერთან ჰქონდა საქმეს დაადგა იმ გზას როცა ხელმეორედ აღმართამდა სამკვდროსასიცოცხლო დროშას თავისი მტრის წინააღმდეგ სანტიმეტალობას ადგილი არ უნდა ქონოდა და თავის ბუდეშივე უნდა ჩაეკლა ისტორიული მტერი პროლეტარიატისა და კაცობრიობის-ბურჟუაზია.

ამ გზით დაიწყო დღევანდელ რევოლიუციაში თავისი მსვლელობა პროლეტარიატმა, ბურჟუაზიამაც იგრძნო თავის აღსასრულის მოახლოვება, მაგრამ იტყვიან ეშმაკს ბედი სწყალობსო, სწორედ დღეს ‘ასრულდება ბურჟუაზიას. მას ახალი ძალები ამოუდგა გვერდში დემოკრატიული სოციალისტების.

ინგლისის მუშათა პარტიის დემოკრატიულმა სოციალისტმა თავი ისახელა იმით რომ ინგლისის პალატაში შეკითხვა შეიტანა და მთავრობა გააფრთხილა ბოლშევიკური კომუნიზმის საფრთხეზედ საფრანგეთის პარლამენტის სოციალისტმა პარლამენტის ტრიბუნიდგან პროლეტარულ სოციალიზმს ომი გამოუცხადა და დემოკრატიას მიანდო სოციალიზმის განხორციელება, ბურჟუაზიის ახალ მოკავშირეთა გმირებს არ ჩამორჩა ჩვენი მენშევიკების მთავრობაც და გამოეხმაურა თავის ევროპიულ თანამოძმეებს გამოაცხადა ბოლშევიკების წინააღმდეგ სასტიკი დევნა აგერ რამდენიმე კვირა ატუსაღებენ სადაც ბოლშევიკობას შეამჩნევენ ვისმეს რაშია დამნაშავე რა ცოდვა მიუძღვიათ მათ ამაზედ მთავრობა სდუმს.

ჩვენ მთავრობის ასეთი საქციელი არ გვაკვირვებს მაგრამ გვაკვირვებს და გვაღელვებს კი დეც მენშევიკი მუშების საქციელი

ამგანაგებო თქვენ რომ ბოლშევიკური პრინციპი არ აღიაროდ ნუთუ როგორც მენშევიკ მუშებს სავალდებულოდ არ მიგაჩნიად თავგამოდებით დაიცვათ საქართველოში სოციალისტური პროპაგანდა აგიტაცია.

საქართველოს რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მოძრაობა

და

მისი რევოლიუციონური სულის ძვეთება.

3.

ჩვენ მეორე წერილში დავახასიათეთ დასასრული პოლიტიკურ და ეროვნული მოძრაობის. ამ წერილში კი ვეცდებით ლატაკ გლეხთა და პროლეტარულ თვალსაზრისით შევაფასოთ მათ მიერ მოპოვებული ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლება.

ჩვენ ისტორიულად ვიცით, რომ ბედკრულ კაცობრიობას პირველყოფილ ველურ მდგომარეობიდან საერთოთ არ დაუხწევია თავი, არამედ რჩეულს პირობებით და მდებარეობით დაჯილდოვებულთ, გამოყავდათ თვისტომი ადამიანი ბრძოლითა და უბედურობით ველურ მდგომარეობიდან.

ფილოსოფია და მეცნიერების მრავალი დარგი და თვით უდიადესი სოციალიზმის იდეია, სხვა დასხვა ერმა მისცა კაცობრიობას. ადამიანის დამახასიათებელ ღირებულების შექმნაში მრავალი ლამაზი ერთა სიცოცხლეა ჩამარხული. არიან შტო, ნაწილნი ადამიანებისა, რომელთაც თავის წარმოშობის დღიდან დღემდის ველურობისა და ზიანის მეტი არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ კაცობრიობისათვის. და მომავალშიაც თუ კაცობრიობის გამამშვნებელმა და ჯანსაღმა ერებმა არ გადახარშენ მათი ცხოვრება, თავის თავათ უბედურების მეტს ვერაფერს მოუტანენ ვერც თავის თავს.

ამ მოვლენასთან ერთად ისტორიული ფაქტია ისიც რომ ამა თუ იმ ერის ცხოვრებას მუდმივ კეთილი სამსახური არ მიუძღვის კაცობრიობისა და სხვადასხვა ერის წინაშე, არის მომენტები როდესაც მათ ბევრი ბოროტ-მოქმედება მიუყენებიათ სხვადასხვა ერისა და კაცობრიობისათვის. ეს მომენტები თვითეულ ერის ცხოვრებაში იმისდამიხედვით იცვლებოდა თუ რა კლასი და წოდება პყრობდა ერის შინაგან ძალებს.

საერთოთ კი ძველ და ახალ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს რომ რომელიმე ერის ცხოერებაში მესვეურობა ეკადოს ულატაკეს კლას. მხოლოდ მეოცე საუკუნემ ეს მეორე წელია რაც ამცხო ძველ კაცობრიობას ახალი ხანის დასაწყისი რუსეთის გლეხთა და მუშათა შემოქმედებით, რაც უნდა ბევრი შხამი არ ამოანთხიონ ძველი კაცობრიობის ბრიყვმა პოლიტიკოსმა, ცრუ მეცნიერმ და ყალბმა ფილოსოფოსმა, მაინცა და მანიც უეჭველ ფაქტათ დარჩება ის რომ რუსთა ერს: მუშათა და გლეხთა სახით წილად ხვდა უდიადესი როლი მეოცე საუკუნეს, მთავარ სარდლობა კაცობრიობის განახლებისა.

მაგრამ ვინ არ იცის რომ რუსეთის საეოო ცხოვრება ვერ ანათებს იმ ერთა გვერდით, რომელთაც ძველ და ახალ საუკუნეებში მიუძღვით ღვაწლი კაცობრიობის წინაშე. ვისთვის უნდა იქნეს სადაო რომ ვთქვათ რუსეთი მეთვრამეტე საუკუნიდან მსოფლიო ჟანდარმერის როლს ასრულებდაო, არავისთვის და მეცხრამეტე საიკუნის წმინდა აზრების მატარებელ რუსობას რომ ეთქვათ არა გვსურს რუსული სიმახინჯეში ვიცხოვროთ, გვიჯობს გავფრანგდეთო. მაშინ დღევანდელი რუსობა კაცობრიობის ‘განახლების მთავარ სარდლად კი არა მის ჯარის კაცობისათვისაც საშიში შეიქნებოდა.

ეს მაგალითი იმისთვის მოვიყვანე, რომ გვეთქვა ერის სიცოცხლეს და მის დამოუკიდებელ ცხოვრებას როგორ პირობებშიაც არ უნდა იყოს მისი მშრომელი კლასისთვის უდიადესი მნიშვნელობა აქვს.

ქართველი ერი მთელი საუკუნეთა განმავლობაში ცოცხლად იყო მოკეცილი სიკვდილის კუბოში და ერთი წელიწადი შეუსრულდა, რაც ამ სიკვდილის კუბოდან ამოვიდა ქართველი ერი, დაიწყო ცოცხალ ერთა შორის ცხოვრება.

ვინც ყველაზე მეტი ენერგია დახარჯა ქართველ ერის სიცოცხლის განახლებაში მან როგოცრ კლასმა უეჭველია ყველაზე ნაკლები მიიღო, მაგრამ ქართველ ლატაკ კლასს ღმერთმა აშოროს იმისი ფიქრიც კი რომ ეროვნული ცხოვრება და სიცოცხლე ჩვენი კლასიური ბედნიერებით გავზომოთ, ასეთი რამ ჩვენი ბრწყინვალე წოდებას ხშირად სჩვევია. და ქართველი პროლეტარიატი და გლეხობა ერსა და მის კეთილ დღეობას მომავალ ბედნიერებათ თვლის, და თუ დღეს მას სისუსტე გამოაჩნდა და ვერ იგდო ერის მესვეურობა ხელთ, სამაგიეროთ მის წინ გაშლილია სიცოცხლის ასპარეზი, სადაც სხვადასხვა მახინაციით მოიკალთა ქართველმა მესჩანებმა, ამის წინააღმდეგ დღეიდან შეუძლია წმინდა კლასიურ ნიადაგზე დაირაზმოს ქართველი პროლეტარიატი და ლატაკ გლეხობამ მიიტანოს სასტიკი იერიში მეშჩანთა დინასტიაზე, და მისი გადმოყირავების შემდეგ მის მეუფეგის ქვეშ მართოს ერის საერთო ცხოვრება, ამ მსვლელობისათვის უკვე მზადდება გარეშე პირობები. საშინაო სამზადისისათვის ქართველი პროლეტარიატი და ლატაკი გლეხობა უნდა გამოერკვეს პოლიტიკური ბურუსიდან და მზათ იყოს ხვალინდელი მომავლისათვის.

მაშ რაც ენერგია დაგვიხარჯავს ეროვნულ თავისუფლებისთვის და რაც მიგვიღია მის შედეგათ ძვირფასზე უძვირფასესია ჩვენთვის. მისი გაღრმავება მომავალში და არსებულის დაცვა რეაქციისგან დღეს ქართველი მუშის და ლატაკ გლეხთა პატაოსან და საამაყო მოვალეობას შეადგენს და არც ოდესმე იტყვის წინააღმდეგს.

პოლიტიკურ ბრძოლაში დაკარგული ენერგია და მისი შედეგი მშრომელ კლასისთვის.

4.

ჩვენ რომ ერთგვარი საზომით გავზომოთ თუ რამდენი ენერგია მოხმარდა ქართველ მუშებისაგან სამ დიდ საკითხს ცალ-ცალკე, მივიღებთ შემდეგ ჯამს. ჩვენი ენერგიის ხუთი მეასედი მოხმარდა ეროვნულ თავისუფლებას. ოთხმოცდა ხუთმეტი მეასედი პოლიტიკურს. წმინდა კლასიური საკითხი, მისი შესწავლა და ბრძოლა ახალ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართველ მუშისთვის.

დღევანდელი პოლიტიკური ცვლილებისაგან ქართველი მუშა წმინდა კლასიურ სფეროში დიდს ვერაფერს მოითხოვს, რადგან ოცი წლის პოლიტიკურ ბრძოლაში წმინდა კლასიური საკითხი არც იდეირად გაშუქებულა და არც პოლიტიკურად მიჰქცევია ყურადღება. თავისთავად ცხადია, როცა ამ უდიდეს საკითხზე სხვადასხვა მიზეზით უმცირესი ენერგიაც არ დაგვიხარჯავს ‘ჩვენ სასარგებლოთ აქ არაფერი გაკეთდებოდა და არც მომავალში გაუკეთდება რამ, ქართველ მუშამ და ‘გლეხობამ თუ უდიდესი ენერგია არ მოახმარა კლასიურ ბრძოლას და მის შესწავლას.

ეროვნულ ‘ბრძოლის შედეგზე ჩვენი აზრი მესამე წერილში დავასრულეთ აქ მხლოდ იმას ვიტყვით რომ ქართველი მუშა ეროვნულ თავისუფლებას თავისი დახარჯული ენერგიის მიხედვით არასოდეს არ დააფასებს.

ეხლ ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო უნდა იეოს ის რომ როცა ქართველმა მუშამ ოცი წლის ბრძოლის თითქმის მთელი ენერგია პოლიტიკურ ბრძოლას მოახმარა, რა მიიღო მის შედეგათ, და დღეს როგორი მოვალეობით სდგას პოლიტიკის წინ როგორც კლასი, ქართველი მუშა.

ამხანაგებო, საკვირველების ხანაში ვცხოვრობთ მეოცე საუკუნე თავისი შეუდარებელი ომებით, შეუდარებელი რევოლიუციით, პროლეტარული სახელმწიფოთ, და უკიდურესი ეროვნული მოძრაობით, დიდ საკვირველობას შეიცავს, მაგრამ რაც საქართველოში ხდება პოლიტიკურის მხრით არა ნაკლებ საკვირველებას შეიცავს თავისი შინაარსით.

ჩვენ ვიბრძოდით პოლიტიკური თავისუფლებისათვის, რევოლიუცია აქ არ შეჩერდა და უფრო წინ წავიდა თუ შევძლებდით და გავყვებოდით მას, რუსეთის მზგავსათ ჩვენც სოციალისტური სახელმწიფო უნდა დაგვეარსებინა, თუ ამისთვის არ ვიყავით მზათ, პოლიტიკური თავისუფლებით თავისი ტახტი უნდა განემკიდრებია ბურჟუაზიას. დღეს

---

*) გაგრძელება იხ. „ახ. ნაკ. № 35.

ვის შეუძლია გვითხრას თუ რა ნაირი წესწყობილებაა საქართველოში?

ბურჟუაზია და მისი წარმოება იძარცვება და დაცემას განიცდის საქართველოში,

სოციალისტური? სოციალისტებს სდევნიან, ციხეში ამწყვდევენ და ასახლებენ საქართველოდან. ეკონომიური უთანასწორობა და ძარცვა-გლეჯა ისე სასტიკი არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში არ იქნება როგორიც არის საქართველოში.

დემოკრატიულია? სიტყვას დემოკრატიას ბურჟუაზიული სახელმწიფოში ყოველნაირი ჯამბაზი ხმარობს მაგრამ მის შინაარს ოუ რაიმე კავშირი აქვს ხალხის უმრავლესობასთან. ხალხის უმრავალესობა არსათ ისე პატივ აყრილი არ არის როგორც საქართველოში.

მაშ რაშია საქმე საიდან მომდინარეობს ფორმა და ინტერესი საქართველოს პოლიტიკური წესწყობილებისა და საით მიემართება ის.

საქართველოს პოლიტიკური წესწყობილება პირდაპირ გამომდინარეობს წვრილ-ფეხა ბურჟუაზიის ეკონომიური ინტერესებიდან და პოლიტიკური თარეში მისგანვე წარმომდგარი ტინგიცა ინტელიგენციისგან.

მამაცა და შვილიც ამოფარებიან მუშათა პარტიის წმიდა სახელს და ალახმა უწყის თუ რას სჩადიან. ამათ შორის მოყოლია რამდენიმე მართლა ინტელიგენტი, რომლებიც არ ჩაითვლებიან ტინგიცების რიცხვში. ესენი გარჩენილი არიან ვით ჭოლოკი კაკლის ხეზე შეგდებული, რომელსაც აქანავებს ქარი ხან მარჯვნით, ხან მარცხნით, ხან ზევით, ხან ქვევით, მაგრამ ისე მაგრათაა გაჭედილი ტოტებში, რომ თუ ვინმე არ მივიდა და არ გადასწია ან აქეთ ან იქით და ძირს არ დაუშვა თავის და თავათ ისე დალპება ზედ, რომ ვერც ერთ მხარეზე მსვლელობას ვერ იზამს.

აი, გამომდინარე მიზეზები და მისი შედეგი დღევანდელი საქართველოს მახინჯი და უჩვეულო პოლიტიკური წესწყობილების, რომელსაც დღევანდელი მიმდინარეობით უეჭველი უფსკრულში გადაჩეხვა მოელის.

პოლიტიკური წესწყობილება ბევრი დანგრეულა, ბევრიც დაინგრევა და ბოლოს სულ უნდა მოისპოს, რომლის ადგილს დაიჭერს სოციალისტური წესწყობილება, მაგრამ აქ რამდენიმე კითხვა უნდა დავსვათ:

1) **ისტორიული ფაქტია ის, რომ** სადაც პოლიტიკური წესწყობილება დანგრეულა მას წინ გაუმძღვანებია ის ძალა, რომელიც ზნეობრივათ და ფიზიკურად იცავდა მას.

2) **კითხვა**. ხშირია ისტორიაში ისეთი მაგალითიც, სადაც პოლიტიკურ წესწყობილებასთან ერთათ საუკუნეებით დანგრეულა ერის ცხოვრებაც და ბევრ შემთხვევაში სრულიად გამქრალა კიდეც.

3) **კითხვა**, მდგომარეობს იმაში, რომ ქართველმა მუშამ და გლეხკაცობამ თავის ოცი წლის ბრძოლაში დაკარგული ენერგიის ოთხმოცდა ხუთმეტი პროცენტი პოლიტიკურ საქმეს მოახმარა. დღეს განხორციელებული მიზანი ზიანის მეტს არავითარ სარგებლობას აძლევს და ხვალ ასეთი წესწყობილება ოავის იერ შეგუბებულ ტბაში ლამობს ჩაიმვრჩეს.

4) ვინ უნდა დაანგრიოს დღევანდელი წესწყობილება და ვინ უნდა დაიჭიროს მისი ადგილი.

აი ოთხი დიდი კითხვა, რომელიც ქართველ მუშას და ღატაკ გლეხკაცობას ნებას არ აძლევს გულიცვათ თქვას საქართველოს პოლიტიკური წესწყობილებაზე, ბევრიც დაინგრეულა და ბევრიც დაინგრევაო. არა უეჭველათ უნდა იქმნეს მთავარი მიზეზი განმარტეაული. რამაც მიიყვანა დღევანდელი საქართველოს ქართველობა ასეთ დაცემამდე, და დასახელებული ის ღონის ძიება, რომელიც პირდაპირ და აუცილებელი მოვალეობას შეადგენს ქართველთ მუშისა და ღატაკი გლეხკაცისათვის.

1) მიზეზი რომელმაც ჩვენი მთავრობის დაცემა გამოიწვია მდგომარეობს იმაში რომ დღევანდელი საქართველოს მესვეურებმა ამ რევოლიუციაში პრინციპის წინააღმდეგი ტაქტიკას დაადგენ იმ თავიდგან, მენშევიკებმა მთელ რუსეთში უარყვენ პროლეტარიატის დიქტატურა და აღიარენ ამ რევოლიუციაში ბურჟუაზიის ორიანტაციათ, ტაქტიკურად კი პროლეტარული პრინციპის გარეშე გამოაცხადეს პარტიული დიქტატურა. ამ ჯგუფმა როცა ირწმუნა და გაქართველება აღიარა პრინციპის წინააღმდეგი ტაქტიქა ერთი ათათ გააძლიერა რადგან სუსტ მოწინააღმდეგებთან ქონდა საქმე, ბურჟუაზიული პრინციპის ნიადაგზედ არ მოერიდა მენშევიკები როგორც მუშათა პარტია, და მთელი სახელმწიფოს ეკონომიური და ადმინისტრატიული მექონიზმი აიღო ხელთ, აქ დაიბერტყა მუშათა პარტიამ თავისი უმწიკლოების კალთა, აქ მოკვდა მისი ლამაზი და მკვეთრი კრიტიკა რომელიც მას რუსეთის სათათბიროს გაჩენიდგან სიკვდილამდე, შარავანდედით მოსავდა.

რა თქმა უნდა ბურჟუაზიულ წესწყობილებას და მის მოხელეებს მუდამ თან სდევს ბოროტმოქმედება და სიგლახე ამ მხრით საქართველოს ნორჩმა სახელმწიფომ გადააჭარბა ყოველგვარ ბურჟუაზიულ და ფეოდალურ სახელმწიფოსა. მოიგონეთ სასურსათო საქმეები რომელი კუთხეც გინდათ.

მოიგონეთ ადმინისტრაცია და მისი დღესაც შეუწყვეტელი თავხედობა და ათასგვარი სიგლახე-ბოროტება, სად არის აქ მთელ რუსეთში ცეცხლიანი კრიტიკით ცნობილი მუშათა პარტია? სამწუხაროდ და სავალალოდ სწორედ მის დროშის ქვეშ ხდება ყოველივე სადაც ბოროტად მისულმა პირებმა თან გაიყოლენ თავის გარყვნილების მორევმა ბევრი გულწრფელად და ზნეობრივად ცნობილი მუშაკებიც, როცა მუშათა პარტიიდან ზურგი გამაგრებული აქვთ დღევანდელ ბოროტმომქმედთ ისინი თავიანთ ბოროტმოქმედებას აღარ მალავენ და აშკარათ განაგრძნობენ მას.

2) **მიზეზი** გახლავთ ის რომ საქართველოს ძველი მუშათა პარტიის გარშემო დღეს დღეობით ძალიან ბუნდოვან სურათებმა მოიყარა თავი დღეს ნამდვილად არავის შეუძლია გვითხრას ძველი მუშათა პარტია ისევ მუშათა პარტიათ ფიქრობს დარჩენას თუ გადაკეთდა ის საქართველოს რესპუბლიკანურ პარტიად.

სინდიკალისტი

(შემდეგი იქნება).

———

სადღეისო მუსაიფი.

4.

სამოციან წლების დასაწყისიდან ზოგმა ამ განცდათ თავი დააღწია და იმ გზას დაადგა, რომ აღიარა, სოციალიზმი ძალიან შორეული მომავლის საქმეაო. ესეკ ერთგვარი სულიერი სასოწარკვეთილებაა, მაგრამ იმედის მაკიაფებელი მაინც არის. ასეთი იყო რუსეთში ჩერნიშევსკი, რომელიც ფიქრობდა, რომ სოციალიზმის დამყარება არ მოხდება 150—200 წლამდიო.

დასალი კი ამაზე შორს მიდიოდა და ამბობდა, რომ იგი დამყარდება არა უადრეს 850 წლისაო. რაღა გასაკვირველია, რომ ასეთი რწმენის ადამიანის ნება და სულის სწრაფვა მოდუნებული იქნეს. იგი ამ ჟამად მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ სრულებით არ შესწყდეს სოციალიზმის შესახებ ქადაგება, იმის განსახორციელებლათ ზრუნვა და სამზადისი კი შემდეგ თაობათა საქმეთ არის გამოცხადებული. აქ მხოლოდ სოციალიზმის შესახებ იდეა ღაა. მაშინ, როცა ორმოციან წლებში ცდა იყო და პროექტებიც კი სოციალიზმის განსახორციელებლად, რადგან ეს უკანასკნელი სადღეისო საქმეთ ეგონათ, ამის შემდეგი თაობა მხოლოდ ძიებას და გამოკვლევას მარცხისას შეუდგა, რათა გამოეცნო ის გზა, რომელსაც სოციალიზმთან მივყევართ. აი, ამ სულიერი ვითარების ნიადაგზე აღმოცენდა მარქსის „კაპიტალი“ და იგი მართლაც ცდილობს, ყველა დაარწმუნოს, რომ იმედს ნუ წარიკვეთთ სულითა და ხორცით, რადგან სოციალიზმს განახორციელებს თვით ბურჟუაზიული წეს-წყობილებაო. ეს უკანასკნელი კი იმ ჟამად წელში ძალაზე გამართული იყო, თამამათ იშლებოდა და ვითარდებოდა. ამიტომ მარქსის ასეთი შეხედულება ერთგვარ სასოებას ბადებდა. აი. ამ მხრით არის, „კაპიტალის“ დიადი მნიშვნელობა საგულისხმო და არა იმით, რომ მართლაც მისაღები იყოს იმის აზრი, რომ ბურჟუაზიული პროცესი თავისთავათ განახორციელებს სოციალიზმსაო.

ვისაც ეს სწამს, და ასეთი რწმენის პირნი კი უამრავნი არიან დღეს,— იგი ორში ერთია ან ბალღია გონებითა და ჭკუით, რომ ასეთი ზღაპარი დაიჯეროს, რომ კაკობრიობისთვის სანუკვარი და სანეტარო წესწყობილება სადმე ან ოდესმე თავისთავათ განხორციელდეს და დამყარდეს. თუ არ სასტიკისა, ყოველდღიურად წარმოებულის ბრძოლისა და მედგარის შრომის შედეგათ: ან ასეთი პირი გამოფიტებული გრძნობის პატრონია და ოინბაზი, რადგან სხვის მოსატყუებლად თუ იტყვის, რომ სოციალიზმი ჩემს შემდეგ დამყარდება თავისთავათო, ნელი პროცესის საშუალებითაო. ასეთი რწმენა კი მას არ მოსთხოვს არც პირად ღვაწლსა და თავდადებას, არც სულისწრაფვას და არც პირად ღირსებას და ნამუსიანობას. იგი იფიქრებს, სოციალიზმს ხომ ვერ განახორციელებს ვერც ჩემი და ვერც ახლო მომავალი თაობაო, ამიტომ ვიცხოვრებ ისე, როგორც ყველანი ცხოვრობენ და ამ ცხოვრებას სიამითა და ტკბილად გავაჩანჩალებო. ზოგი იმასაც კი იფიქრებს, რომ, რაკი სოციალიზმის ნიადაგს ნელი პროცესით ამზადებს ბურჟუაზიული წეს-წყობილებაო, მოდი ამ ჩემ სიცოცხლეში მუშათა ყველეფას ვაწარმოებ და ამით მეც ჩავირიცხები იმ პირთა შორის, რომელნიც სოციალიზმის განხორციელებას ეხმარებიანო, ასეთი სულიერი დომხალის შედეგია ის მოვლენა, რომ დღეს ბევრი ბურჟუა და ბურჟუაზიული სულისკვეთების პატრონი სოციალისტობს, სოციალისტებს კენჭებს უჩხრიალებს და თავი სოციალისტათ მოაქვს. აი, ასეთი ოინბაზური და ცბიერი სულისთქმა მოჰყვებოდა ასეთ შეხედულებას და სწორეთ ასეთი შეხედულებაა, რომ ძირს უთხრის სოციალიზმს. მაგრამ საბედნიეროდ ეს ასე არ არის. ყოველი თეორია და მოსაზრება საზოგადოებრივი ცხოვრების შესახები უნდა განხილულ იქნეს ისტორიულ პირობებში. უნდა გატარდეს ისტორიულ პრიზმაში, თუ კი შეიძლება ასე ითქვას, და მხოლოდ მაშინ გამოაშკარავდება მთელი სიცხადე და ღირსება ამ თეორიისა, ამ მოძღვრებისა. ასეც უნდა შევეხოთ მარქსის „კაპიტალის“ ძირითად მოტივს. ამ მოტივს იმ დროს, იმ სოციალურ და პოლიტიკურ პირობებში, იმ სულიერ განწყობილებაში დიდი და უაღრესი მნიშვნ,ლობა ქონდა სწორეთ იმ მხრით, ;რა მხრითეც მე აქ მას ვითვალისწინებ.

ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ ფრ. ენგელსი კატაკლიზმს. ე. ი. სოციალურ რევოლიუციას მოელოდა 1898 წ. იგი ფიქრობდა, რომ ეს კატაკლიზმი შედეგათ მოჰყვებოდა ევროპის იმპერიალიზმს, რომელიც ოც მილიონ ხალხს შეაჯახებდა. ეს ასეთი გრანდიოზული შეჯახება ააწიოკებდა ხალხებსა და ერებს, დეზორგანიზაციას შეიტანდა მეურნეობასა და წარმოებაში. გამოიწვევდა დაბნეულობასა და გამოურკვევლობას გაბატონებულ კლასებსა და მართველთა სფეროში და ააფეთქებდა კატაკლიზმს, ე. ი. სოციალური რევოლიუციის დასაწყისს. ფრ. ენგელისი სწერს: ,,ეს ომი, რომელშიც თუთხმეტი-ოცი მილიონი კაცი მიიღებს მონაწილეობას და ერთმანეთს ჩეხვას დაუწყებს, ევროპას კი—დარბევას, როგორი დარბევაც ჯერ არც კი ყოფილა,—დაუყოვნებლივ წარმოშობს სოციალიზმის გამარჯვებას, და ძველი წყობილება ისე შეირყევა, რომ ამ წყობილების მხოლოდ ღა ნანგრევები გადარჩება, რომელთ ველარ აღადგენს ძველი კაპიტალისტური საზოგადოება, და ამნაირათ სოციალური რევოლიუცია შეგვიანდება ათი, თუთხმეტი წლით, მაგრამ ისე კი, რომ ამ ჟამად გამარჯვებას საფუძვლიანად იდღესასწაულებს‘‘. თუ ასე ფიქრობდა ფრ. ენგელსი, რომელიც სოციალ-დემოკრატების დალაი-ლამა არის, მაშინ რაღა უფლებით, რაღა ამუსით ველარ ხედავენ ჩვენებური და გერმანიის მენშევიკები, რომ დღეს, სწორედ დღეს ალია დანთებული სოციალური რევოლიუციის დასაწყისისა. ამ ომმა ამასთანავე სრული დეზეორგანიზაცია შეიტანა წარმოებასა და მეურნეობაში. ამიტომ ასეთი საშინელი სამრეწველო და საეკონომიო კრიზისი მსოფლიოს მეორეც არ განუცდია. ჩვენ ხომ ვიცით და ეს ზევითაც მოვიხსენიეთ, რომ მარქსი ამ საეკონომიო კრიზისებს უკავშირებს სოციალური რევოლიუციის გაჩაღების დასაწყსს. მაშასადამე, ამ მხრითაც სწორედ დღეს ის მომენტია, როცა ობიექტიური პირობანი გვიკარნახებენ, რომ სოციალური რევოლიუცია დაიწყო, იგი ხელიდან ველარ უნდა გაუშვათ და იმის სასარგებლოდ სასტიკი ბრძოლა და მედგარი მოქმედება უნდა გაჩაღდეს.

ტიბერიელი.

(დასასრული იქნება)

———

საქართველოს რევოლიუციონერ სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირის პროგრამის ზოგადი დებულებანი.

მოკლე განხილვა მთავარი შუხლებისა.

5. ფედერალიზმი.

თუ სახელმწიფო ხელს უშლის მაშვრალ კაცობრიობის თავისუფლებას, უნდა მის ნაცვლად რაიმე დაწესებულება დავამყაროთ, რომელიც ძირიანად ეწინააღმდეგება და კონკრეტიულად უარყოფს მას- ასეთი კი ფედერალიზმია.

მართალია, მომავალს ცხოვრების იდეალად ვერ დავისახამთ დანაწილება-დაქუცმაცებას, მაგრამ ვერც ცენტრალიზაციას შევეგუებით. დავაკვირდეთ თვით ცხოვრებას. ვინ შესძლებს, თუ არა ბრმა, უარჰყოს ცხადი ფაქტი, რომ ოლქი სცდილობს დამოუკიდებელი გახდეს ცენტრისაგან, კომუნა—ოლქისაგან და კომუნაშიაც პიროვნება თავის თავისუფლების დამყარებას სცდილობს. ეს კი იმის დამამტკიცებელი და მაჩვენებელია, რომ ადამიანთა ურთიერთობაში ღრმა რეფორმა ხდება: დღემდის თუ სახელმწიფო წარმოადგენდა ზევიდან ნაძალადევად თავზე მოხვეულ კავშირს, დღეს თავი იჩინა მოწინააღმდეგე ტენდენციამ, რომლის მიზანია; განახორციელოს ნებაყოფლობითი კავშირი ქვევიდან ზევით: ნებაყოფლობითი კავშირი (ფედერაცია) ინდივიდთა კომუნაში, კომუნებისა ოლქში, ოლქებისა ეროკუნულ ფედერაციაში და ამ ფედერაციათა მთელი ქვეყნის კონფედერაციაში, რომელთა სოციალისტური შინაარსით შევსება პირდაპირი მოვალეობაა მებრძოლი პროლეტარიატისა.

მიგვაჩნია რა სოციალისტური რევოლიუცია სადღეისო საკითხად, ვერ გადავდებთ ამ საკითხის ცხოვრებაში გატარებას.

თუ ჩვენი სოციალისტური საერთაშორისო ძმობა ცარიელი სიტყვა არ არის, იმ შემთხვევაში არც ფედერალიზმია ცარიელი სიტყვა, რადგან საერთაშორისო ძმობის განხორციელების პირობა ხალხთა არა ნაძალადევი, არამედ ნებაყოფლობითი კავშირია, რომლის ერთად-ერთი ფორმა ფედერალიზმია.

პოლიტიკურად პროგრესი მიესწრაფება სრულ დამოკიდებულობიდან ე. ი. დესპოტიიდან საბოლოო დამოუკიდებლობისაკენ.

ყოველგვარი ცენტრალიზაცია კი დამოკიდებულობის გაძლიერება და დამოუკიდებლობის უარყოფაა.

დეცენტრალიზაცია და ფედერალიზმი კი ისეთ პირობებსა ჰქმნიან, სადაც ისპობა ძალთა ერთი მეორისაგან დამორჩილება, ერთი მეორის დაჩაგვრა, სადაც ფუნქცია ფუნქციას არ აწვება თავზე და არ ამახინჯებს. დეცენტრალიზაცია და ფედერაცია განუყოფელნი არიან, სადაც ორივენი ერთად და არა ცალკე, ჰქმნიან ისეთ პირობებს, სადაც დამოუკიდებელ და სასარგებლო ძალთა და ფუნქციების ნორმალური კავშირი მყარდება.

ეს კი იმიტომ, რომ ცხოვრების კანონი თავისას შვრება და ნელ-ნე-

ლა ხორციელდება უდიდესი პრინციპი ყოველი საზოგადოების ნორმალური განვითარებისა: რაც შეიძლება ნაკლები ენერგიით, რაც შეიძლება მეტი სიკეთის მოპოება.

მხოლოდ ფედერალიზმს შეუძლიან სრული გახადოს პირადობის და ჯგუფის თავისუფლებით ის ბედნიერება, რომელსაც სოციალიზმი თანასწორობის განხორციელებით დაამყარებს.

თანამედროვე მრწველობის ორგანიზაციებიც წარმოადგენენ მთელ სისტემას მუშათა კავშირებისა და ასოციაციებისას. თანამედროვე მუშათა ბირჟები, ფედერაციები და ორგანიზაციები შეიცავენ წარმოების და მოხმარების ყველა ელემენტს. და ამისათვის, როგორც წარმოების, ისე ნაწარმოების მოხმარება მათი საქმე უნდა გახდეს; დღეს ისინი მომავალ საზოგადოების ჩანასახს წარმოადგენენ—ხვალ ისინი გახდებიან მთელ საზოგადოებად. ეს მუშათა ორგანიზაციები კი ფედერატიული ორგანიზაციები არიან და მასთან არა შემთხვევით, არამედ ისტორიული გამოცდილების მეოხებით. ამგვარად ფედერალიზმის პრინციპი ხელოვნურად მოგონილი იდეა კი არ არის, ის თვით მუშათა კლასმა შეჰქმნა და დააყენა სადღეისო კითხვად ფედერალიზმი ის პრინციპია, რომელიც პარიზის და კართაგენის კომუნებმა თავიანთ სისხლით უკვდავ ჰყვეს და მემკვიდრეობით პროლეტარიატს გადმოსცეს თავისუფლების იმედად და სანუგეშოდ. თუ თავისუფლება საჭიროა, სოციალიზმთან ერთად ფედერალიზმმაც უნდა გაიმარჯოს.

(შემდეგი იქნება)

დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია.

(გაგრძელება იხ. „ახ. ნაკ.“ № 35)

ყოველი რევოლიუცია შედეგია საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობის შეცვლისა. თუ იგი გამარჯვებით თავდება, მას მოსდევს აუცილებლად შეცვლა წესწყობილებისა რევოლიუციონერთა, ან ჩაგრულთა სასარგებლოდ და შესაფერი რეფორმები. სრული გამარჯვება რევოლიუციისა მოითხოვს აუცილებლად დამფუძნებელი კრების მოწვევას, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს ხალხის ნებასურვილი: ამიტომ იგი სრულიად დამოკიდებულია რევოლიუციონურ დემოკრატიაზე და მის კარნახზე. ამიტომ დემოკრატია ვერ დასტოვებს პოზიციებს და ვერ მოახდენს ძალთა დემობილიზაციას მანამდის, სანამ ახალი წყობილება უზრუნველყოფილი არ იქნება ყოველგვარი უბედურებისა და შელახვისაგან.

ამის გამო, კონსტიტუციაც, რომელსაც დასწერს დამფუძნებელი კრება, სრული გამოხატულება უნდა იქნეს რეალურ ძალთა განწყობილებისა და ხალხის ნებისყოფისა და თან ახლდეს შესაფერი გარანტიები ხალხის უფლების უზრუნველყოფისა.

ჩვენი კონსტიტუციაც უნდა შეეფერებოდეს ქართველი ხალხის ნებასურვილს. ჩვენმა ერმა მრავალი საუკუნოების განმავლობაში შხამითა და სიმწარით სავსე ცხოვრება გამოირა. მას სულს უხუთავდა ორგვარი უსამართლობა: სახლში გაბატონებული თავად-აზნაურობა და გარედ—შემოსეული ურდოები, რომელნიც სულს ხდიდენ ჩვენ ბრძოლით მოქანცულ წინაპრებს და თავის გაჩენის დღეს აწყევლინებდნენ.

117 წლის რუსეთის ბატონობამ ეს ურდოები ქართველ ხალხს თითქოს ჩამოაცალა, მაგრამ უარესი მტარვალები მიუსია მას თავისი მოხელეების და პოლიციის სახით. ამას ზედ დაერთო ბატონყმობის იმ წესების გადმონერგვა ჩვენში, რომელიც რუსეთს მაჯლაჯუნასავით თავს დასწოლოდა და სულს არ ათქმევინებდა. უაღრესად შეწუხდა ქართველი მშრომელი ხალხი და თითქმის სასოწარკვეთილებას მიეცა.

მაგრამ დაჭქროლა იმედიანმა სიომ ცხრაასიან წლებში, ხალხი შეიშმუშნა, წელში გასწორდა და გაბედულად ჩაება იმ უზარმაზარ მოძრაობაში, რომელსაც რუსეთის დიდი რევოლიუცია ეწოდება, მოექცა მის ავანგარდში და თითქმის ოცი წლის განუწყვეტელი ბრძოლის და აუარებელი მსხვერპლის შემდეგ მიაღწია ბრწყინვალე გამარჯვებას: იგი განთავისუფლდა ორნაირად: ეროვნულად და პოლიტიკურად. ქართველი ერი ეხლა დამოუკიდებელი და თავისუფალია და თვითონ არის თავის ბედის პატრონი. ასევე უნდა იქნეს ჩვენი ხალხი თავის ბატონი შინაურ პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც და სირცხვილი იქნება, თუ ამდენი ბრძოლით მოპოებული და ჭირნახული თავისუფლება არარად ვაქციეთ ჩვენი დაუდევრობით, ჩვეულებრივი გულკეთილობით თა გულუბრყვილო ნდობით. რომელსაც ჩვენ ვიჩენთ მომქმედ პოლიტიკურ პარტიების მიმართ.

ყველა პარტია—პარტია არის. მას. სულ ერთია როგორიც ირ უნდა იყოს იგი, აქვს თავისი შინაური ცხოვრება, საკუთარი ინტერესები, პრესტიჟისა, გავლენისა, ბატონობისა; მას თან ახლავს ყოველივე, რაც ახასიათებს კერძო ოჯახს ან ჯგუფს.

აქვთ საშინაო და საგარეო პოლიტიკა და ხშირად ჭეშმარიტება პარტიების ბიუროების კულუარებში იმალება და ხალხი მხოლოდ დემაგოგიით იკვებება.

ჩვენ პარტიას უნდა ვუყურებდეთ არა როგორც მმართველს და პოლიტიკური საქმეების გამგეს, არამედ როგორც ხალხის მასწავლებელს, გზის მაჩვენებელს და თვალის ამხელს. ნამდვილი სახალხო, სოციალისტური პარტია სხვა როლს ვერ იკისრებს, მაგრამ დღეს, დიდი რევოლიუციის დროს, თუ ხალხი მათ ნდობას უცხადებს საქმეს ავნებს და გვერდში უდგია, ეს იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ მათ მიატოვონ თავი საქმე ჭეშმარიტების მქადაგებლისა და ხალხის მასწავლებლისა, მიითვისონ ხალხის უფლება და მისი სახელით აკეთონ პარტიული საქმეები.

დიახ, ეს იმას არ ნიშნავს და ამ გარემოებას მეტის ყურადღებით უნდა მოეპყრან ჩვენი პოლიტიკური პარტიები, რომელთაც უკვე დაავიწყდათ თავისი წმინდა მოვალეობა, წარმოიდგინეს, რომ წინ უდევთ მოკლული დათვი—სახელმწიფო ძალაუფლება—და მის დასაკუთრებაში ერთმინეთს სასტიკად ეცილებიან..

მაგრამ ხალხი, რომელიც არის პატრონი ამ ძალა უფლებისა, ვერ დარჩება გულგრილ მაყურებლად და, თუ ჩვენმა პარტიებმა, რომელთაც მოკრიბეს ხმები თავისი სიებით და შევლენ დამფუძნებელ კრებაში, დაივიწყეს თავისი მოვალეობა, მაშინ მშრომელი ხალხი, რევოლიუციონური დემოკრატია, შესაფერისად მოაგონებს მათ თავის მოვალეობას და იმ დავალებას, რომელსაც ხალხი დამფუძნებელ კრებას აძლევს.

მე გავათავე. არ ვიცი შევსძელი თუ ვერა დასახული მიზნის შესრულება, რადგან ვგრძნობ, რომ საკითხის სიმძიმე ჩემს ძალღონეს აღემატება, მაგრამ მაინც ბედნიერად ჩავსთვლიდი ჩემ თავს, თუ ცოტაოდენი სინათლე მაინც მოვფინე ამ საჭირბოროტო, სადღეისო და მეტად მნიშვნელოვან საკითხს ჩვენი ერის ცხოვრებისათვის, რომელიც უნდა გაიფურჩქნოს—ვით ტურფა თაიგული გაზაფგულისა დამოუკიდებელ და ისევე ლამაზ და თვალწარმტაც თავისუფალ საქართველოს საზღერებში.

ი. ვარაზაშვილი.

23 თებერვალი 919 წ.
ჭიათურა

ორი მოპირდაპირენი.

ორი მოპირდაპირე ბანაკი საშინელი ძალთა მობილიზაციებით შლიან საომარ ფრონტს, ერთ მხარეზე ირაზმება ბურჟუაზია, მეორეზე კი რევოლიუციონური პროლეტარიატი.

ორივე ბანაკი დღითი დღე აფართოებს ფრონტს. პროლეტარიატის სარდლობა წილად ხვდა ლენინს, იგი აწარმოებს ჯერ-ჯერობით მედგარ შეტევას მოპირდაპირეებზე, თვისი წითელი რაზმებით. მოპირდაპირე ბურჟუაზიული სარდლობა, კლემანსო, ლოიდ-ჯორჯი და მისი თანაშემწეები. საოცარი ენერგიით ლესავენ თვის პოლიტიკის შხამიან ხმლებს, პროლეტარიატის ყელში გასაყრელად საკაცობრიო გათანასწორების დასათრგუნავად. მაგრამ თუ დავაკვირდებით თანამედროვე საერთაშორისო მსოფლიოს ახალ ფრთებ გადაშლილ პერსპექტივებს, სულ სხვა რამეს გვეუბნება, აღარც იმდენად საშიშია ცნობილი კლემანსოს ნაციონალიზმით შეცდომაში შეყავს მასსა; დღეს უკვე აშკარაა ეს მასსაც ერკვევა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ქსელისგან, და დგება საერთაშორისო ინტერნაციონალიზმის ნიადაგზე; ამას გვიმტკიცებენ იტალიის მუშების სისტემატიური გაფიცვბი, ისპანიის, ოლანდიის და სხვა, რომლის ცნობებიც მოდის სალტე შემორტყმული ევროპიდან; მოკავშირეთა ბურჟუაზიული დიქტატურა უნდა დაამაცხოს პროლეტარიატის ძალამ, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი სამუდამოდ იქმნას დასამარებული.

და მის ნანგრევებზე აშენდეს წმიდა ეკონომიური კაცთა თანასწორობის სამეფონი- აი აქ არის ხსნა პროლეტარიატის და ამ საბედისწერო ბრძოლისთვის უნდა მოემზადოს ჩვენი მუშებიც, ჩვენი პროლეტარიატიც, კლასიურად, გონებრივად, ფიზიკურად ერთი სიტყვით ყოველი მხრით.

ამ კვირაში იღღესასწაულა ბურჟუაზიასთან ერთად ფრანგმა მუშებმაც გერმანიის დამარცხებით ზავის მიღება, ეს ზავი სამუდამოდ ბოროტებით დაუსრულებელი, მომავალი საშინელი სისხლის ღვრის ახალი ნიადაგი.

მაგრამ ბოროტების ძირიანფესვიანად აღმოსაფხვრელად კიდევ გვაიმედებს ახალი მომავლის იმედები ეს არის გათვითცნობიერება საერთაშორისო მუშათა მოძრაობის დარაზმა ცალკე ერთ ბანაკად ბურჟუაზიის წინააღმდეგ. სადავე ინციატივა ბოროტების რომელიც დღეს დღეობით ამ ბურჟუაზიის ხელთ არი; დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას, მის ადგილას უნდა აღმოცენდეს კაცთა თანასწორობის საერთაშორისო ინტერნაციონალიზმი, სადაც ყველა ერი თავისუფალი იქნება და ყველა ერშივე მუშათა კლასის ხელში იქნება ერის ბედილბალი.

ბურჟუაზია კი უნდა გამოეთხოვოს თავის ბოროტების პოლიტიკურ ბატონობას, ის უნდა დარჩეს ისე როგორც მანქანისთვის უბრალო ვინტი.

ვ. ნავარძელი.

ხაშურის ფედერალისტებს

არსებითად მიძღვნილია წერა ს.-ფ-ბის პარტიის წინააღმდეგ—ვინაიდან ჩვენ არა ვართ ისეთი უტიფარი ფანატიკი, რომელიც ფურთხს უძღვნის იმას, რასაც წინად თითონაც ემსახურებოდა. ჩვენ. ყოველთვის თვალწინ გვიდგას დიდებული აჩრდილნი—რომელთაც საქართველოს და მშრომელი ხალხის სამსხვერპლოზე დასდვენ თვისი მე, რომელთაც ქართველი ხალხის მიძინებული ეროვნული ქურის გაღვივებაში—პირველი ადგილი უჭირავთ..

მაგრამ ვიტყვით სამწუხაროდ და სავალალოდ, რომ ეს ამაყი თვისებები მხოლოდ შორეული წარსულის მკრთალი ლანდებია, რომელნიც პირველი. მძლავრი—სიმართლის გამოშუქებით იფანტებიან, შავი ბურუსით იმოსებიან და დღეს როცა ერთად-ერთი მათი იდეალი—საქართველოს ხატება ამაყად გადმომდგარა კავკასიის აქეთა მხარეს და მწუხრის, მობნედილის თვალებით გასცქერის—იდუმლობით მოცულ, გამოურკვეველ—„ბედის ვარსკვლავს“ ევროპისაკენ. როცა სასომიხდილი ესოდენ ძლიერი, რკალივით გარშემორტყმული, ვერაგი, შინაური და გარეშე მტრები დაძრწიან მის ტურფად მოვარაყებულ მინდორ-ველზე, როცა ყვავ-ყორანთ ფერხული გაუმართავთ დაავადებულ, ლებად ქცეულ--საქართველოზე, („თავისუფალ“) როცა ყოველი გულწრფელი საღი პატრიოტის, სამშობლოს და კაცობრიობის მოყვარულის გული ბოლმა-ნაღველით ივსება. ესოდენ ტანჯულ, განაწამებ ერის უარეს ყოფით, როცა უნდა შემოკრბეს მთელი სასიცოცხლო ძალები ტყვეთქმნილ სამშობლოს და მშრომელი ხალხის გასანთავისუფლებლად, როცა საქართველო, მშრომელი საქართველო, ძლიერი ტვირთქვეშ მგმინავი—უყივის გმირებს, მებრძოლებს, სად არის ამ დროს ეროვნულ-სოციალისტური პარტია „სოციალიზმ-ფედერალიზმის“ თეორიით შეიარაღებულნი?.. სად არის ის მტკიცე ორგანიზაციები საიდანაც წინად მხურვალე, ღრმა პატრიოტული, მგზნებარე სიტყვებით—აღტყინენაში მოყვანილი ხალხი ემზადებოდნენ წარმომდგარიყვნენ მტრების სამსჯავროს წინაშე—პატივ-აყრილ ერის და მშრომელი ხალხის სასარგებლოთ?.. სად არიან ის რაინდნი, რომელნიც ესოდენ ფანატიზმით ლოცულობდნენ--ამაყ წინამორბედას ლანდებს? . რას ვხედავთ ეხლა ყოველივე მაგის სანაცვალოდ?.. მხოლოდ და მხოლოდ ყრუ უსიტყვო კედლები პარტიული „ბიუროებისას“ მხოლოდ და მხოლოდ ჭორიკანობაზე ამეტყველებულ ორგანიზაციებს იქნებ იმიტომ რომ ჯერ სინამდვილემ გაიარა ისინი, საქართველომ საკოდავ სხეულს ალერსი (და თუ ჯერ-ჯერობით სავსებით ვერა—ახლო მომავალი დაგვანახვებს) მეტხორცი მუწუკი, პარაზიტი, რომელთაც მრავლად გააყოლა „სოციალიზმ-ფედერალიზმს“ შეფარებული გამოფიტული. უსაქმო ინტელიგენცია. იქნებ იმიტომ რომ მშრომელმა მასსამ დიდი ხანია დაასამარა და წყევლა-კრულვას მისცა თვისი მტრები და აბა ფედერალისტები სად გაექცეოდნენ (მე მხედველობაში არა მყავს ყოველი ს.-ფედერალისტი). სულთათანა უკვე უგალობეს მათ... და აი ეხლა უსაქმოდ მიტოვებულნი ორიოდე მოინტელიგენტო კუდაგზიკები მოკალთებულან პარტიულ ბიუროებში და ღვარძლიანობით, ქუჩურის დემაგოგიით, ჭორიკანობით ატბორებენ ისედაც მოშხამულ ატმოსფერას და რაც ყველაზე უფრო გასაკვირელი და სავალალოა მაგას ჩადიან სოციალიზმ-ფედერალიზმის მაღალი ავტორიტეტით. ზეურაცხყოფას აყენებენ ამ დიად მცნებას, თვისი ტლანქიანი ფეხებით სთელენ სოციალიზმის წმიდა იდეიას, თვის მოწამლულ ბანჯღვლიან ხელებს აფათურებენ—სამართლიანობის და ჭეშმარიტების ქალწულობრივ გულში... და ეს ღვარძლი ითესება და შემდგომ სინათლეზე გამოდის პარტიულ ბიუროებიდან. მე კერძოდ მხედველობაში მყავს ხაშურის ახალგაზრდათა ფედერალისტური ორგანიზაცია (ლაპარაკი მთავარ ორგანიზაციაზე, რომელიც ფაქტიურად არ არსებობ, ჩკენ არ შეგვიძლია, ვინაიდან თუ არაფერს აკეთებენ არც აფუჭებენ) ღვარძლიანობა, შური და მტრობა, აი ერთად-ერთი საფარი, რომლითაც შეიარაღებულნი არიან ისინი. ბიურო გადაუქცევიათ „სააგენტოთ“ ყოველგვარ პროვაკაციის, ჭორიკანობის, მლიქვნელობის. ვინც ალღო აუღო ამ საზიზღარ მოქმედებას, იმათ წინააღმდეგ განსაკუთრებით არი მიმართული მათი შხამიანი ისარი. რა გინდათ რომ მათ არ უწოდონ, რა სახელებით შეამკონ. პირადათ ჩვენ ყველაფერს ბანს აუქცევდით, ყურადღებას არ მივაქცევდით მათ ცინიკურ „საქმიანობას“, რომ ერთი უსაშინელესი ბრალდება—უკეთ რო ვსთქვათ ქვემძრომული, გველური სისინი, თითქოს ჩვენ მაშინ როცა ვხელმძღვანელობდი ზევით აღნიშნულ ორგანიზაციას ფარულად ამავე დროს ბოლშევიკებთან ვმუშაობდი, ე. ი. ვიყავი ჯაშუში, მოღალატე, გამცემი. მე თავიდანვე ყურადღება მივაქციე ამ გარემოებას. და მოვითხოვე, რომ ეს ლაქი, რომელსაც მალულად მე მცხებდნენ. გამოტანილ იქმნას საჯაროზე, სოროებში ნუ იმალებიან, დეე ხმა მაღლა განაცხათონ ის, რაც მათ ღვარძლიან გულში მოკალთებულა. რომ მომეცეს საშუალება წავრსდგე სამსჯავროს წინაშე... მაგრამ ამაოდ, ისინი კვლავ განაგრძობენ უმსგავსო განგაშს, საზიზღარ პროვაკაციას... მე ვაცხადებ არა თუ მაშინ, როცა მათ ორგანიზაციას ვთამჯდომარეობდი არამედ ეხლაც არავითარი კავშირი (გარდა ამხანაგური) ბოლშევიკებთან არა მაქვს. ნუ თუ არ წითლდებიან ასეთი ბნელი საქმეთა მოსაქმენი? მაგრამ განა მათ სირცხვილის გრძნობის იოტის ოდენა გრძნობა მაინც შერჩენიათ? რომ ეს ბრალდება არ დაატყდეს მთელ ორგანიზაციას, რომელშიაც დღესაც მოიპო-

ვებიან გულწრფელი ამხანაგები, მე მოვითხოვ რომ მათი (ორგანიზაციამ) დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა პრესით მიპასუხონ ვის ეკუთვნის ეს სისინი? და რა ზომებს ღებულობს ორგანიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მე ვიტოვებ უფლებას ვუწოდო შესაფერი სახელი არა იმ „ბნელ საქმეთა მოსაქმეთ“ არამედ მთელ ორგანიზაციას... უკან დავუბრუნო, მათი სამარცხვინო სახელწოდება... მე მჯერა რომ ორგანიზაციას კიდევ შერჩენია გონიერება რომ ღრმად ჩაუკვირდეს მაგ საკითხს...

მე ველი თქვენგანს, ამ უახლოეს ხანში, გაბედულ ნაბიჯს, ველით პასუხს.

პატივისცემით **ალექ. ბარამიძე.**
1919 ივლისის 15.

ქუთაისის ქალ. თვითმართველობის გარშემო.

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეები შედარებით დღევანდელ ცხოვრების სიძვირესთან ფრიად მცირე ჯამაგირებს ღებულობენ, მუშას ოთხას მანეთიანი ჯამაგირი მარტო მჭადის ფულათაც არ ყოფნიდა, მიუხედავათ ასეთი აუტანელ მდგომარეობისა ქალაქის გამგეობა სრულიადაც არ ფიქრობდა თავის ხელქვეითების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე, ის მოითხოვდა მათგან მოთმინებას და რევოლიუციის საკეთილდღეოთ მსხვრპლის გაღებას და ამავე დროს თვით გამგეობის შემადგენლობამ ორხელ მოიმატა ჯამაგირი და სრულიადაც არ ფიქრობდენ ასეთ მსხვერპლის გაღებაზე.

ასეთი უსამართლობის და ცხოვრების აუტანელ პირობების გამო თვითმართველობის მოსამსახურეები, რათა გაეუმჯობესებიათ თავიანთი ნივთიერი მდგომარეობა იძულებული შეიქნენ გაფიცვით დამუქრებოდენ ქალაქის გამგეობას და ამით აიძულეს ქალაქის საბჭო დაედასტურებია მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატება, მათ მიერ წარდგენილ მოთხოვნილების მცირე დაკლებით.

ჩვენი ქალაქის მოღვაწები დიდ ცდაში იყვენ, რაც შეიძლება შეეკვეცათ მოსამსახურეთა მოთხოვნილება და რათა დრო მოეგოთ [და დაეგვიანებიათ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. სხვადასხვა მიზეზები წამოუყენეს მოსამსახურეებს და სხვათა შორის ისიც, ვითომც გამგეობას მოთხოვნილების წინასწარ დაკმაყოფილებისათვის განზრახული ჰქონდა მოსამსახურეთა შტატის გადათვალიერება და მისი შემცირება. ვეკითხებით ქალაქის მოღვაწეებს, უკეთუ შესამცირებელია შტატი, რატომ დღემდის არ მოახდინა ასეთი და ამ წლის განმავლობაში რათ აძლევდენ ისედაც ღარიბ ქალაქის კასიდან ჯამაგირებს იმ პირებს, რომლებიც ზედმეტი ბარგი ყოფილან ქალაქისათვის და რას უნდა მივაწეროთ ის მოვლენა რომ ზოგიერთი გამგეობის წევრები თავისიანების სამსახურში მიღებით ნაცვლად შტატის შემცირებისა პირიქით მას გაფართოვებას უწყობდენ ხელს; მარა რას უნდა გამოველოდეთ ჩვენ ისეთ ქალაქის გამგეობიდან, რომელმაც ქალაქის თვითმართველობის არა საიმედო მოსამსახურებიდან გაწმენდაც ვერ შესძლო დღემდის, არამც თუ გააძევა საეჭვო პირები გამგეობიდან, პირიქით ძველი გამგეობის მიერ აშკარა ქურდობისათვის დათხოვნილი ზოგიერთები დღეს მიღებულია გამგეობაში და განაგრძობენ თავისებურ სამსახურს. ერთმა ასეთმა პირთაგანმა თავის ჩვეულება თვით გამგეობის შენობაში გაიმეორა და მოიპარა ელექტრონის ასანთები, მარა არც ასეთ დანაშაულობის შემდეგ იქნა ის გაძევებული სამსახურიდან და რაგორც ავი ენები ამბობენ ის უფროსი მოანგარიშის მეოხებით გაამართლა, როგორც ქალაქის გამგეობამ ისე მოსამსახურეთა კავშირის ძველმა გამგეობამ.

ვიმეორებ მოსამსახურეთა ძველმა კავშირმა, ვინაიდან განახლებული კავშირში დღეს ისეთი ახალი ძალები მოხვდა, რომლებმაც შესძლეს მისი გაჯანსაღება და მისი დანიშნულების სიმაღლეზე დაყენება. ამიტომაც არის განახლებული კავშირ-ენერგიულად შეუდგა ზოგიერთ მოსამსაგურეების ბნელ საქმეების გამოაშკარავებას და სხვა შორის ერთ თვით კავშირის წევრთაგანს დაუმტკიცა არა სასურველი საქმიანობა, რომელიც დაუყოვნებლივ გააძევა კავშირის წევრობიდან. თავის თავად ცხადია ქალაქის გამგეობას თავის მხრით ასეთი მოსამსახურნი სამსახურიდანაც უნდა დაეთხოვა, მარა ზოგიერთმა გამგეობის წევრებმა მისი მფარველობა არჩია და ის დღესაც სამსახურს განაგრძობს.

ამრიგად ქალაქის გამგეობამ მოსამსახურეთა კავშირს მხარი არ დაუჭირა არა საიმედო პირების გამეფებაში, მარა მოსამსახურეთა კავშირი მოვალეა განაგრძოს საეჭვო მოსამსაეურეთა საქმიანობის გამოძებნა და მათი გამოაშკარევება, ამასთანავე დააფასოს იმ გამგეობის წევრის მოღვაწეობა, რომელიც ქალაქის საქმეების საზიანოთ ეღობება დღეს მოსამიახურეთა კავშირას სამართლიან მისწრაფებას და ის რაც დღემდეს ვერ მოახერხა ქალაქის გამგეობამ უნდა შესძლოს განახლებულმა კავშირმა და მოსამსახურეთა შტატების მაქსიმუმამდის შემცირება უნდა დაიწყოს არა საიმედო პირების გაძევებით, თუნდაც ამისათვის დასჭირდეს მას ბოიკოტის და სხვა ასეთ საშუალების მიმართვაც. ასეთი პირები უკეთუ დღემდის დაკლებულ ჯამაიღებდნენ ტყვილათ ქალაქის კასიდან, დღეიღან მათვის მომატებულ ჯამაგირების მიცემა ორმაგი დანაშაულება იქნება.

ქალაქის კასიდან ერთი კაპეიკიც არ უნდა ეძლეოდეს „პარაზიტებს“ და არა საიმედო მოსამსახურეებს, არამედ მომჭირნეობით უნდა იხარჯებოდეს ქალაქის ნამდვილ საჭიროებისათვის.

„ბლეხიძე“.

პროვინცია.

გორი აქ ცოტა ხნით დაბანაკებული იყო თბილისიდგან მოსული საგუბერნიო ბატალიონი და ლეგიონთა რაზმი. მათ თავგასულობას და ქურდობას ბაღებში საზღვარი არა ქონდათ; დღე და ღამ მუდამ იარაღით შედიოდნენ ბაღებში და არავის ეპუებოდნენ; ამას წინაზედ თავის ბაღში თათარმა ამირეჯიბმა საფანტით სასიკვდილოთ დასჭრა დღე ორი ჯარის კაცი, რომლებშიაც ერთი უკვე გარდაიცვალა და მეორეც ავათ არის. იქვე იმავე ბაღის გვერთზედ მდებარეობს გორის სემენარიის ბაღი, სადაც ყოველ დღე და ღამ დადიოდნენ და ქურდობდნენ, ერთ ღამეს ბაღის გამგე მასწავლებელმა თოფის სროლით გარეკა იგინი ბაღიდგან, მაგრამ ამით არ გათავდა. გაქცეული ჯარისკაცები შეიარაღდნენ და ხელმეორეთ დაეცნენ მასწავლებლის ბინას და სიკვდილით ემუქრებოდნენ. მასწავლებელი თოფით გამაგრდა სახლში და მოახერხა გადარჩენა ოჯახისა და თავის თავისა სიკვდილისაგან, და აწიოკებისაგან, აი ასეთი მამულის დამცველები გვყავს ჩვენ ამ ორ ნაწილში.

გარდა ამისა გორის გარეთა უბნებში, ფერშანგოვის ბაღში, მოჰკლეს ღამით ჯიელი მებაღე იმერელი და მიწაში ჩაფლეს. მოკლულის გვამს ამაოთ ეძებდნენ 5 დღე. მხოლოდ შემდეგ ძაღლებმა იპოვეს იგი მიწაში, რადგანაც გამოათრიეს მისი ნახევრათ დამპალი გვამი, ტყვიებით განგრეული. ამ მებაღის მეზობლების სიტყვით ესაც ჯარის კაცებისგან ყოფილა, რადგანაც ვინტოვკით არის მოკლული და ბაღებში ვინტოვკებით ისინი დადიოდნენო.

სპეკულიანტების თავ-გასულობას გორში საზღვარი არა აქვს. ერთ მხარეს ირაზმება სპეკულიანტთა გაუმაძღარი ხროვა და მეორე მხარეს გაძვალტყავებული დემოკრატია; დემოკრატია მალე მოუგრეხდა კისერს, რომ მათ მხარს არ უჭერდეს ბურჟუაზიული რესპუბლიკის აღმშენებლები საშველი აღარსაიდან არის. ხალხი უჭმელობით გადაგვარდა, დასნეულდა, ჩვენთვის არც ნიხრი, არც სხვა რამ ზომა სპეკულიანტთა წინააღმდეგ არ არსებობს. გორში იმდენათ ბევრია საზოგადოებრივი კოპერატიული თუ სხვა დაწესებულებებში, რომლებსაც შეეძლოთ მიეწოდათ ხალხისთვის სანოვაგე ცოტა იაფ-ფასებში, მაგრამ რა გამოვიდა აქ ფულია საჭირო და ფული კი მთლათ სპეკულიანტებს ჯიბეში მოგროვდა და საზოგადოება მათ ვერ შეეხება, რადგანაც ეს კერძო საკუთრებაა და ბალშვიკობას დაგვწამენენ. ერთი სიტყვით სპეკულიანტების ხელშია ჩვენი ოფლით შეძენილი გროშებიც, ჩვენი ქონებაც და ჩვენი გატანჯული მშიერი სულიც, რომელსაც, როდესაც უნდათ ამოგვაძრობენ.

დ—რ.

სოფ. ატენი. იშვიათათ იქნება ისე ბუნებით დაჩაგრული სოფელი, როგორც ატენია. იგი ვიწრო ხეობაში გამომწყვდეული და ვიწროთ დასახლებულია დიდ მამულის სივიწროვეს განიცდის. აქ მიწის მფლობელობა კომლზე თითო დღიურს არ აღემატება, სადაც აქვთ გაშენებული ვენახები და ატმის ბაღები; ამ ხეობის არე-მარე ერთ დროს მშვენიერი ტყეებით იყო დაბურული და ბუნებით მდიდარი, მაგრამ სოფლის საუბედუროდ საიდგანღაც გაჩნდა უცხო წურბელა სოფლისა ზეზემანი და ამ ხეობაში აამუშავა სახერხი ქარხანა, რასაც მოჰყვა ტყეების გაკაფვა და საშინელი ნიაღვრები, რომელიც ანგრევს მათ ავლა-დიდებას ბაღებს და სახლებს. თითონ ზეზემანის კარმიდამო თავის ქარხნით და ბაღ-ვენახებით, რომელიც ათასნაირი ხრიკებით ჩაუგდია ხელშია ჩვენი თავადებიდან, გაშენებულია საუკეთესო ადგილას და უზრუნველყოფილია ნიაღვრის შიშისაგანაც. აი სწორეთ იმ გარემოებამ, რომ სოფელი წყალს მიაქვს და ამავე დროს კი ნამდვილი სასოფლე ადგილას, რომელიც მორწყულია იმათვე მამა-პაპის ოფლით, გამოჭიმულა უცხო ექსპლუატატორი, აი ამ გარემოებამ მეთქი, დაბადა დიდი შურისძიება ხალხსა დ- ზეზემანს შორის.

ხალხს იმედი ქონდა რომ მთავრობა მას ჩამოართმევს და ხალხს გადასცემს დასასახლებლათ, მაგრამ აქაც იმედი გაუცრუვდათ, ერობამ თითქო ჩამოართვა, მაგრამ თავის საკუთრებათ გამოაცხადა, მაშინ გაბოროტებულმა ხალხმა როდესაც დაინახა, რომ მოტყუებული დარჩა და ჩამორთმეული ვენახის ნაწილი ძირიანათ გადაკაფა.

ხალხის სიბოროტე იქამდე მივიდა რომ უკანასკნელ საშუალებას ტერორს მიმართეს, კვირას 20 მკათათვეს გორში მილიციამ შეიპყრა 4 კაცი, ერთგანი მამის დაბეზღებით, რომლებსაც ზეზე მონის მოკვლის განზრახვა ბრალდებათ ამისათვის ატენელებისგან ფულიც აუღიათ, მილიციამ შეიპყრო ისენიც ვინც ფულს დაჰპირდა მკვლელებს.

ეს ზეზემონა ნამდვილ ჯაშუშის როლს თამაშობს ხალხს და მთავრობის შორის და ერთმანეთს უსისინებს მაგალითად ადმინისტრაციას ეუბნება. სანამ ათიოდე ატენელს არ ჩამოახჩობთ ეგენი არ დაწყნარდებიანო. თითქოს ეს ხალხი ვილაც მტრის ბანაკებიდან იყვნენ და არა ჩვენი შვილები, რომლებიც უნდა გაიმეტოს მთმვრობამ დასახვრეტათ იმიტომ რომ ეს საჭიროა აქ ესიამოვნება ზეზემონა ხალხს კიდევ აქეზებს მთავრობის წინაშე და ეუბნება მე რა შუაში ვარ მე ჩამომართვეს მაგრამ მთავრობა თქვენ არ გაძლევთო თითონ მიისაკუთრაო სანამ გერმანელების ჯარი იდგა აქ იმით ემუქრებოდა ხალხს და მთავრობას ახლა კი ინგლისელებს უძვრება და ასრე შვრება მუდამ.

დაგორ.

ახალი ამბავი.

ორშაბათს საღამოს 7 საათზე პირველ რაიონის ბიუროში დანიშნულია კავშირის წევრების კრება.

რედაქციამ მიიღო ჩვენი ამხანაგის დ. გორთომაშვილის ახალი წიგნი „მებაღეობა“. მოკლე სახელმძღვანელო ხეხილთა გამრავლებისა და მოვლისა.

ადერბეირჟანის და მთიულების დელეგატებმა გააკეთეს ცნობა სამშვიდობო კონფერენციაზე, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის არავითარი ტერიტორის დავა არ არის.

როგორც ბათუმიდან იტყობინებიან იქ ჩრდილო კავკასიიდან დიდ ძალმა გამოქცეულებმა მოიყარა თავი დაახლოვებით 4500 კაცამდე, გამოქცეულების პარტიებს გზავნიან საქართველოს და სომხეთის გზით და მიჰყავთ ბათუმში.

ეროვნული ქრონიკა

მინსკი. 22 ივლისი. ვარშავაში გაფიცულთა მოძრაობამ მიიღო ფართო ხასიათი. გაფიცვები გრძელდება.

სტოკგოლმი. 21 ივლისი. ნორვეგიაში მოელიან 24 საათით საერთო გაფიცვას. სოციალისტური მოძრაობა ვრცელდება ნორვეგიელ სალდათებს შორის.

ბუდაპეშტი. 22 ივლისი. ინგლისის სოციალისტების პარტია ემზადება მასსიურ გამოსვლისთვის.

ნაუენი. ეღინობურგში დააპატიმრეს 57 ოფიცერი და ციხეში მოათავსეს კონტრ-რევოლიუციოიურ გამოსვლებისათვის.

ღია წერილი

ოზურგეთის კომისრის ყოფილ თანაშემწეს ი. ლომაძეს.

რედაქციამ მიიღო თქვენი წერილი, სადაც თქვენ იწერებით, რომ შეურაცხყოფილათ სცნობთ თავს „აქაურის“ წერილით, რომელიც „ახ. ნაკ.“ 33 №-ში იყო მოთავსებული და გვთხოვთ გაცნობოთ მისი ნამდვილი სახელი და გვარი. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ-ჯერობით თქვენ თხოვნას ვერ ვასრულებთ, ვინაიდან ჩვენ საჭიროთ და აუცილებლად მიგვაჩნია პრესის საშუალებით გასცეთ პასუხი მის წერილზე და ეს დაამტკიცოთ საზოგადოების წინაშე თქვენი სიმართლე.

რედაქცია.

ჩვენს ამხანაგებს

ვინ არ იცის, რომ დღეს ბეჭედითი საქმე მეტად გართულდა და შეუძლებელი ხდება მისი გავრცელება ხალხში, ამიტომ ჩვენი რედაქცია კიდევ მოგვიანებს მუშა ამხანაგებს, რომ შეძლების დაგვარათ დაეხმარონ თავის ინტერესების გამომხატველ გაზეთს მატერიალურათ და იდეურად.

რედაქცია.

ჩვენი პოსტა.

გაზ. „ახალ ნაკადის“ კანტორა სთხოვს: საჯავახოს, ოზურგეთის და სამტრედიის აგენტებს გაზეთის ხვედრი ფული გამოგზავნონ დროზე

რედაქცია სთხოვს პროვინციელ ამხანაგებს გამოგზავნონ კორესპანდენციები.

რედაქტორ-გამომცემელი.
სარედაქციო-კოლეგია

სტამბა ქართულ ბეჭდვითი ამხანაგბის“ გოლოვინის ქუჩ., ტელ. 4—73.